ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2386720

ნომერი: AR1365859

თარიღი : 28.12.2015

გაცემის თარიღი : 20.01.2016

გაცნობის თარიღი : 20.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 84 , (ნაკვეთი 003/003) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ შალამბერიძე პ/ნ 01021005773
- თემქა 3მრ 2კვ 37კ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.11.2013 წლის №978984 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28.12.2015 წლის

AR1365859 განაცხადით მომართა თეიმურაზ შალამბერიძემ რომელმაც მოითხოვა ამავე სამსახურის 04.11.2013 წლის №978984 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 04.11.2013 წლის №978984 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), გურამიშვილის გამზ. #84–ში (ნაკვეთი 003/003)–ში, შ.პ.ს. რედი–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საავდმყოფოს არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 05 ნოემბრიდან 2016 წლის 05 მაისის ჩათვლით. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „რედი“.

ამასთან განმცხადებლის 08.12.2015 წლის AR1360317 განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტოსურათებით დგინდება, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამუშაოები არ ჩატარებულა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის № 882015735684, მომზადების თარიღი: 24/12/2015 09:21:25) თანახმად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №84 წარმოადგენს შპს „რედი“–ს საკუთრებას ხოლო მის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს თეიმურაზ შალამბერიძე.

დღეისათვის, მესაკუთრე ითხოვს სამსახურის 04.11.2013 წლის №978984 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვთ ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის რეკონსტრუქციის ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის: თეიმურაზ შალამბერიძის 28.12.2015 წლის AR1365859 განაცხადი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.11.2013 წლის №978984 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.